

bm.ge - როდის და რა პირობით გაიხსნება სავაჭრო მოღებები?



ეკონომიკის ამოქმედების გეგმის მორიგ ეტაპზე გახსნისთვის სავაჭრო მოღებები ემზადებიან. მთავრობის წარმომადგენლებთან რამდენიმე რაუნდიანი შეხვედრების შემდეგ უკვე ცნობილია ნაწილი იმ რეგულაციებისა, რომელიც მოღებმა, მათმა მოიჯარე მაღაზიებმა და თავად მომხმარებლებმა

სავადრებუროდ უნდა შეასრურონ.

ეკონომიკის ამოქმედების გეგმის მიხედვით, სავაჭრო მოღებების გახსნა მეოთხე ეტაპზე, 8 ივნისიდანაა დაგეგმილი, თუმცა შესაძლოა, თარიღმა უფრო ადრე გადმოიწიოს. სავაჭრო ცენტრების გახსნის ვადები იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწრაფად შეასრულებენ მოღებები მთავრობის დაწესებულ რეგულაციებს. კონკრეტული გაიდრაინები ჯერ საჯარო არ არის, თუმცა როგორც თავად ბიზნესი ამბობს, ახალ სტანდარტებზე გადასასვრედად მზად არიან, თუმცა გახსნის ბუსტი დროის შესახებ მთავრობისგან პასუხი ჯერ არ აქვთ.

“ჩვენთვის ახლა ყოველი დღე მნიშვნელოვანია. ვცდილობთ, რაც შეიძლება მარე მოხდეს გახსნა, თუმცაღა ყველაფერი დამოკიდებულია მთავრობაზე, რას გვეტყვის, როდის შევძლებთ ოპერირებას. ჩვენ ჩვენის მხრივ აბსოლუტურად ყველა რეკომენდაცია შევასრულეთ და ვეროდებით როდის შეიძლება გახსნა, რომ მოხდეს“, – აცხადებს დევან მესხერი, “სითი მოდის” დირექტორი.

გასული კვირის ბოლოს ბიზნესომბუდსმენტთან შეხვედრაზე მოღებოსთვის ცნობილი გახდა იმ სავადრებურო რეკომენდაციების შესახებ, რომლის შესრულებაც კერძო სექტორს გახსნისთვის მოუწევს. აქამდე არსებული რეგულაციების გარდა, მოღებების შემთხვევაში სხვა დამატებითი მოთხოვნები წესდება.

„ჩვენ ყვერგან შევდივართ პირბადით, აუცილებელია დემობარიერი, აუცილებელია დისტანციის დაცვა, აუცილებელია თერმოსკრინინგი და ამას ახლა ემატება მასშტაბთან მიმართებაში ტექნიკური საკითხები, როგორცაა ვენტილაცია, დაღაგების რეგულაცია, ტერიტორიის მდიანი დენზინფექცია. კვადრატულობიდან გამომდინარე ობიექტზე მომხმარებლის რაოდენობის განსაზღვრა და ა.შ“, – აცხადებს თეიკო დომინაძე, “ისტ ფონთის” მარკეტინგის ხელმძღვანელი.

ყველა საჭირო ხარჯს თავის თავზე მოღების ადმინისტრაციები აიღებენ, თუმცა გარკვეული რეგულაციების შესრულება სავაჭრო ცენტრების მოიჯარეებისთვისაც იქნება სავალდებულო.

„ხარჯების ის ნაწილი, რაც გათვარისიწნებუდია რეკომენდაციებში, მაგალითად დემობარიერები, თერმური შემოწმება მომხმარებლის, ამ ყველაფერს ჩვენ ვიღებთ საკუთარ თავზე, უბრალოდ მაღაზიებს მოუწევთ მინიმალური ხარჯის გაღება, რაც არის აუცილებელი. ეს არის პირბადეები მათი თანამშრომლებისთვის, საღაროებთან დამცავი ბარიერის გაკეთება-გამჭვირვადე შუშის, ეს არის სრულად რაც მათგან მოითხოვება. დანარჩენი, რაც შეეხება შიდა ვენტილაციას, დენზინფექციას, მომხმარებლების გაკონტროლებას, ჩვენს თავზე ვიღებთ“, – აცხადებს ნიკოლოზ ცინცაძე, “გადერია თბილისის” ხელმძღვანელი.

რეგულაციები შეეხება მომხმარებლებსაც. ისინი მოღებში ვიზიტს მხოლოდ პირბადეების გამოყენებით შეძლებენ. პირბადის არმქონე მომხმარებლის დაშვების შემთხვევაში კი სათანადო აღჭურვა თავად მოღის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს.

სხვებისგან განსხვავებით სავარაუდო გახსნის თარიღი დიღო მოღის, როგორც ღია ტიპის ბაზრობისთვის უკვე ცნობილია. როგორც სავაჭრო ცენტრის გენერალურმა დირექტორმა გვითხრა, მოღის დაახლოებით 40%, ფეხსაცმლის და ტანსაცმლის მაღაზიების გარდა, საქმიანობის განახლებას, სავარაუდოდ, 25 მაისიდან შეძლებს, თუმცა ბაზრობის ადმინისტრაცია მთავრობისგან ჯერ კიდევ ელოდება სავალდებულოდ შესასრულებელი რეკომენდაციების ნუსხას.

ამ ეტაპისთვის გაურკვეველია ედიავას ბაზრობის გახსნის ზუსტი დრო.

მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო მასალების ბაზრობა თითქმის ღია ტიპის სივრცეა, სხვა სამშენებლო მოღებების გახსნის მიუხედავად, მათ შემთხვევაში გახსნის ნებართვა მთავრობას ჯერ არ გაუცია.

“მე მიმაჩნია, რომ ეს არის ადგილი. გაიხსნა სამშენებლო ჰიპერმარკეტები, მოღები, სადაც ვირუსის გავრცელების მეტი ადბათობაა და რისკია და სამშენებლო ბაზრობა, როგორც არის “ერიავას ბაზრობა”, ჯერჯერობით, არის დაკვეთილი, სადაც ვირუსის გავრცელების ნაკლები შანსია, რადგან აქ არის მცირე და საშუალო მაღაზიების კრებული, რომელიც გამოდის ფაქტობრივად, შიდა ეზოებზე, შიდა ქუჩებზე და ადგილია მიმაჩნია, თუ სამშენებლო სექტორი იხსნება, ხსნიან სამშენებლო მოღებს, რატომ არის სამშენებლო ბაზრობა დაკვეთილი?!” – აცხადებს ერიავას ბაზრობის ერთ-ერთი ადმინისტრაციის წარმომადგენელი თეა ანდრიაძე.

როდის გაიხსნება ქადაქის ერთ-ერთი მსხვილი სამშენებლო მასალების ბაზრობა, სავარაუდოდ, მარე უნდა გადაწყდეს, რადგან ბაზრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები მოსადაპარაკებდად გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში დაიბარეს.

<http://bm.ge/ka>